ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს აგრო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი და სავაჭრო ბალანსი

2018 წელს საქართველოს ღვინის ექსპორტმა რეკორდი დაამყარა, როდესაც 200 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა ექსპორტზე (86 მლნ. ბოთლი). საქართველოსთვის რეკორდული იყო აგრო ექსპორტის მთლიანი ღირებულებაც, რომელიც 1 მილიარდ აშშ დოლარს მიუახლოვდა, რაც ისტორიული მაქსიმუმია მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აგრო პროდუქციის იმპორტიც გაიზარდა და მანაც რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. შედეგად, სავაჭრო ბალანსი (ექსპორტს გამოკლებული იმპორტი) დარჩა თითქმის უცვლელი -394 მლნ. აშშ დოლარის დონეზე. მიუხედავად ამისა, წლის ჭრილში ექპორტი გაიზარდა 23.2%-ით (181 მლნ. აშშ დოლარით), მაშინ როდესაც იმპორტი მხოლოდ 15.5%-ის გაიზარდა (179 მლნ. აშშ დოლარით). დამატებით 181 მლნ. აშშ დოლარში, მხოლოდ 26 მლნ. აშშ დოლარი მოდიოდა ღვინის ექსპორტზე, ხოლო უდიდესი ნაწილი კი - თამბაქოსა და სიგარეტის რე-ექსპორტზე. თამბაქოსა და სიგარეტის ექსპორტი 240%-ით გაიზარდა გასულ წელს და საქართველოს აგრო-სასურსათო პროდუქტებში ღვინის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა (160 მლნ. აშშ დოლარით).

რაც შეეხება საქართველოს აგრო პროდუქტების სხვა მოწინავე კატეგორიებს, 2018 წელს წინა წელთან შედარებით ზრდა დაფიქსირდა სპირტიანი სასმელების, ბუნებრივი და მინერალური წყლების, ცხვრის ხორცის, ციტრუსისა და ატმის ექსპორტში, ხოლო თხილისა და ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტში ვარდნა ფიქსირდება.



წყარო: საქსტატი, 2019

ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, ფასების დონე საქართველოში სტაბილურად შენარჩუნდა; 2018 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 0.5%-ით გაიზარდა 2018 წლის ნოემბერთან შედარებით. 2017 წლის დეკემბერთან შედარებით კი, სფი 1.5%-ით გაიზარდა.

წინა თვესთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 2.3%-ით გაიზარდა, რამაც სფი 0.69 პროცენტული პუნქტით გაზარდა. სურსათის ფასების ცვლილებაზე ძირითადი გავლენა შემდეგმა ჯგუფებმა მოახდინა:



პური და პურპროდუქტები (5.9%↗)

ბოსტნეული და ბაღჩეული (5.6% ↗)

რძე, ყველი და კვერცხი (2.8% ↗)

წყარო: საქსტატი, 2019

წინა წელთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.7%-ით, რამაც სფი 0.52 პროცენტული პუქტით გაზარდა.

2018 წლის დეკემბერში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სურსათის შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:



ხილი და ყურძენი (-17.5% ↙)

თევზეული (11.1%↗)

პური და პურპროდუქტები (8.8%↗)

წყარო: საქსტატი, 2019

უფრო ვრცლად თევზეულის ფასებზე

2018 წლის დეკემბერში თევზეულის ფასი მნიშვნელოვნად, 11.1%-ით გაიზარდა 2017 წლის დეკემბერთან შედარებით. თევზეულის ფასების ცვლილებაზე გავლენა გაყინული თევზისა და შებოლილი თევზის ფასებმა მოახდინეს, რომლებიც შესაბამისად 13% და 13%-ით გაიზარდა. რადგანაც საქართველო აღნიშნული პროდუქტების წმინდა იმპორტიორია, შესაძლოა, ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი იმპორტის მიწოდების შემცირება ყოფილიყო. ვაჭრობის სტატისტიკის მიხედვით, გაყინული თევზის იმპორტის როგორც ღირებულება, ასევე რაოდენობაც შემცირდა.

წინა წელთან შედარებით, 2018 წლის დეკემბერში გაყინული თევზის იმპორტის რაოდენობა 15%-ით შემცირდა (1831.4 ტონიდან 1548.0 ტონამდე), ხოლო ღირებულება - 3%-ით. როგორც ქვემოთ დიაგრამაზე ჩანს, შებოლილი თევზის იმპორტში იგივე ტრენდი არ შეინიშნება. წინა წელთან შედარებით, 2018 წლის დეკემბერში შებოლილი თევზის იმპორტის რაოდენობა 40%-ით გაიზარდა (6.8 ტონიდან 9.6 ტონამდე), ხოლო ღირებულება - 42%-ით. ეს შესაძლოა, მეტყველებდეს იმაზე, რომ ქართველმა მომხმარებლებმა მოთხოვნა გაზარდეს შებოლილ თევზზე ან ზოგადად, თევზეულზე.



წყარო: საქსტატი, 2019



წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2019

საერთაშორისო ფასები

2018 წლის დეკემბერში საერთაშორისო ფასებმა დაღმავალი ტრენდი შეინარჩუნა. სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით 4.3%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი (-22.6%), შაქარი (-12.0%), რძის პროდუქტები (-7.8%) და ხორცი (-3.6%). 2017 წლის დეკემბერთან შედარებით ხორბლის ფასების ინდექსი 9.6%-ით გაიზარდა.

2018 წელი რომ შევაჯამოთ, FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი 3.5%-ით შემცირდა 2017 წელთან შედარებით. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: შაქარი (-21.9%), მცენარეული ზეთი (-14.7%), რძის პროდუქტები (-4.6%) და ხორცი (-2.2%). წინა წელთან შედარებით მარცვლეულის ფასების ინდექსი 9%-ით გაიზარდა.



წყარო: FAO, 2019

ვაჭრობის სტატისტიკა

2018 წლის დეკემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) 70 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც აღნიშნულ თვეში საქართველოს ექსპორტის მთლიანი ღირებულების თითქმის 30%-ს შეადგენს და 4 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2017 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტს, მისმა ღირებულებამ 2018 წლის დეკემბერში 112 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც ამავე თვეში საქართველოს მთლიანი იმპორტის დაახლოებით 17%-ს შეადგენდა. 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, 2018 წლის დეკემბერში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 3%-ზე მეტადაა გაზრდილი.





ხილით საერთაშორისო ვაჭრობა

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წელი ქართული ხილის ექსპორტისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. იმის მიუხედავად, რომ თხილის ექსპორტი 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით 13.5 მლნ აშშ დოლარით დაეცა, ხილის ჯგუფში (0801-0810 ჰარმონიზებული კოდების სისტემაში) თითქმის ყველა სხვა პროდუქტის ექსპორტი გაიზარდა. ქვეყნიდან ხილის (თხილის გამოკლებით) ექსპორტის მზარდი ტენდენცია შეინიშნება 2015 წლიდან, როცა საქართველო საერთაშორისო ბაზარზე მხოლოდ 6.4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხილი გაყიდა, მაშინ როცა 2018 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა 17.6 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. უშუალოდ წინა წელთან შედარებით კი, ხილის (თხილის გამოკლებით) ექსპორტის ღირებულება დაახლოებით 50%-ითაა გაზრდილი.

ხილის ექსპორტი უმეტესწილად გაზრდილია *კურკოვანი ხილისა* (მაგ., ატამი, [ალუ]ბალი, ქლიავი და სხვა) და *ციტრუსების* ექსპორტის ხარჯზეა, რომელთა ღირებულების ნამატმა 2018 წელს, შესაბამისად, 3.5 და 4.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ამ მაჩვენებლით ციტრუსმა საქართველოს საექსპორტო პროდუქტების საუკეთესო ათეულში ადგილი შეინარჩუნა. აღსანიშნავია *ყურძნით* საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემებიც. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ სიდიდეში ყურძნის ექსპორტი მოკრძალებულად გამოიყურება, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, მისი ღირებულება დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდა და ბოლო წლების რეკორდულ მაჩვენებელს — 0.8 მლნ აშშ დოლარს — მიაღწია (დეტალური მონაცემები იხ. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე).

გასულ წელს ხილის ექსპორტში პოზიტიურ ძვრებს საქართველო, ძირითადად, კარგ მოსავალს უნდა უმადლოდეს. მართალია, 2018 წელს ქვეყანაში წარმოებული ხილის ჯამურ რაოდენობაზე ოფიციალური სტატისტიკა ჯერ ხელმისაწვდომი არაა, მაგრამ არსებული შეფასებებით, 2018 წელი ციტრუსის მოსავლისთვის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო წელი იყო, ხოლო გასული რთველის წინასწარი შეფასებით, 2018 წლის ყურძნის მოსავალი 2017 წლის მაჩვენებელს 20’000 ტონაზე მეტით აღემატება.



წყარო: საქსტატი, 2018

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს სურსათის ორგანიზაციას შორის თანამშრომლობა გახანგრძლივდა

ბერლინში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული წარმომადგენლის მოადგილემ, რაიმუნდ იელემ ხელი მოაწერეს 2017-2020 წლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების განახლებულ დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას, სურსათის წარმოების, ხელშეწყობას და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით სოფლად სიღარიბის დაძლევას, ასევე, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიების და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების მხარდაჭერას.

მეტი ინფორმაციისთვის : http://mepa.gov.ge/En/News/Details/7343

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მიწის მფლობელობის რეგულაცია მკაცრდება

მიწის შესახებ არსებული ორგანული კანონის პროექტის მიხედვით, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეკუთვნის მიწა, მაგრამ მას არ ამუშავებს, იგი ვალდებული ხდება ორი წლის ვადაში (პერიოდზე დისკუსია გრძელდება) გაასხვისონ, ან კანონის შესაბამისად იჯარით გასცენ ან თვითონვე დაამუშაონ ეს მიწა. რეგულაციის მიზანია გაიზარდოს დამუშავებული მიწების რაოდენობა, მომავალში მსგავსი რეგულაციები, თუმცა არა ასეთი მკაცრი, მოსალოდნელია საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაშიც.

მეტი ინფორმაციისთვის: https://www.bpn.ge/article/52210-ucxoelebs-sakutrebashi-arsebuli-daumushavebeli-micis-partobebis-realizacia-daevalebat-gavrceldeba-tu-ara-es-cesi-sakartvelos-mokalakeebze/

ISET Policy Institute
Agricultural Policy Research Center
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
ირაკლი (რატი) კოჭლამაზაშვილი i.kochlamazashvili@iset.ge
დავითი ჟორჟოლიანი d.zhorzholiani@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge